

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: „გეოგრაფია“:  
პროგრამის მოცულობა: 180 კრედიტი  
მისანიჭებული აკადემიური ხარისხი: გეოგრაფიის დოქტორი (Phd. Geography)  
სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი:

- დავით კერესელიძე, სრული პროფესორი

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები:

- ნოდარ ელიზბარაშვილი, სრული პროფესორი
- რამინ გობეჯიშვილი, სრული პროფესორი
- დავით კერესელიძე, სრული პროფესორი
- ზურაბ სეფერთელაძე, სრული პროფესორი

სადოქტორო პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი:

სრული პროფესორები: ნოდარ ელიზბარაშვილი, რამინ გობეჯიშვილი, დავით კერესელიძე, ზურაბ სეფერთელაძე, თენგიზ ურუშაძე, ასოცირებული პროფესორები: ლია მაჭავარიანი, დალი ნიკოლაშვილი, გიორგი მელაძე, ცეცილია დონაძე, ეთერ დავითაია, ბესო კალანდაძე, თენგიზ გორდეზიანი, კახაბერ ბილაშვილი, ვაჟა ტრაპაიძე.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა) პროგრამის მიზანი:

ბუნებრივი გარემოს მდგარდი განვითარების საფუძველი ბუნებათსარგებლობის ოპტიმალური ზღვრების განსაზღვრაა, რაც ტავის მხრივ საზოგადოებისა და გარემოს პარმონიული ურთიერთობის სტრატეგიის ყოველმხრივ ხელშეწყობას გულისხმობს. ამასთან სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს გარემოს როგორც ერთიანი და მთლიანი კომპლექსის, ასევე მისი სემადგენელი კომპონენტების განვითარების პროგნოზირებას, გლობალურ და რეგიონალურ ჭრილში.

შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამის მთავარი მიზანია კაცობრიობის სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის პირობებში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტს შეეძლოს ჩაატაროს კვლევა ბუნებრივი გარემოს მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, რაც ტავის მხრივ რეგიონალური ბუნებათსარგებლობისა და მისგან გამომდინარე მომავალი თაობებისათვის სასიცოცხლოდ სრულფასოვანი ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება უდევს საფუძვლად. დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი გეოგრაფი, რომელსაც მაღალ სამეცნიერო დონეზე ექნება გათავისებული ერთიანი კომპლექსური გეოგრაფიის და მირითადი მიმარტულებების განვითარების აქტუალური საკითხებიმოახდენს გეოგრაფიული ცოდნის ინტეგრირებას და გამოიყენებს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. წარმოაჩენს აქტუალურ გეოგრაფიულ პრობლემებს გლობალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე.

ბ) პროგრამის შედეგი:

ა) ცოდნა და გაცნობიერება - გეოგრაფიის დარგის უახლოეს მირწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე), კერძოდ გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პიროვნება უნდა იყოს ჩამოყალიბებული მეცნიერი, რომელსაც შეუძლია აწარმოოს მაღალი დონის სამეცნიერო კვლევა, იმპაქტფაქტორის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება და სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ფორუმებზე მოხსენების გაკეთება, ის უნდა იყოს კვალიფიციური პედაგოგი რათა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს მაღალ დონეზე ჩაუტაროს სემიანრები, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები. მომავალ დოქტორანტს შეეძლება მოღვაწეობა გააგრძელოს გეოგრაფიის მიმაღლულებით, როგორც ჩევნი ქვეყნის ისე საზღვარგარეთის ნებისმიერ სამეცნიერო დაწესებულებებში.

უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც დოქტორანტს შესაძლებლობას მისცემს თანამდეროვე გის ტექნოლოგიების გამოყენებით კიდევ უფრო გაიღრმავის არსებული ცოდნა, გეოგრაფიის კონკრეტულ დარგში. ასევე შეაფასოს საქართველოს ბუნებრივი პირობები, დედამიწაზე მიმდინარე გეოგრაფიული პროცესები როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი მაჩვენებლით, ჩატაროს გეოგრაფიული ობიექტების კოლოგიური ექსპერტიზა, შეაფასოს ბუნების სტიქიური პროცესები.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - გეოგრაფიის ქვედარგებში დამოუკიდებელი სამეცნიერო და და კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევები, კერძოდ აქტუალური სამეცნიერო-გამოყენებითი პრობლემების გადაწყვეტისას ახალი ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლლად დაგეგმვა და გამხორციელება, მიღებული შედეგების საფუძველზე ახლებური კვლევითი მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება რომელიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. ჩამოუყალიბდეს კვლევის შედეგად გეოგრაფიული ნაშრომის შექმნის უნარი

გ) დასკვნის უნარი - გეოგრაფიული ობიექტების და პროცესების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, პრობლემის გადაჭრის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

დ) კომუნიკაციის უნარი - გეოგრაფიისა და მისი ქვედარგების სამეცნიერო პრობლემატიკის აუდიტორიისათვის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და სათანადო დონეზე პრეზენტაციის მიზნით. მსჯელობისა და მისგან გამომდინარე დასკვნების ნათლად და ზუსტად მიწოდების უნარი.

ე) სწავლის უნარი - გეოგრაფიის ქვედარგებში უახლოეს მირწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვიტარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.

ვ) ღირებულებებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება, როგორც გეოგრაფიის ქვედარგებში ისე დარგთაშორის მიმართულებებში. გეოგრაფიაში კვლევის ეთიკის სტანდარტებისა და კორექტულობის დაცვა, პროფესიული ზრდის მოთხოვნილება

#### 8. კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

გეოგრაფიის დოქტორანტურის კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სამეცნიერო, საგანმანათლებლო, სამეურნეო, საპროექტო და სხვა დაწესებულებებში. სახელმწიფო დაწესებულებებში უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება - გარემოს დაცვის, ეკონომიკური განვითარების, სოფლის

მეურნეობის, ენერგეტიკის, კულტურისა და მეგლობა დაცვისა და სხვა სამინისტროები და მათი სტრუქტურები, რეგიონული და რაიონული ადმინისტრაციები, ადგილობრივი თვითმართველობა. სამეცნიერო დაწესებულებებში იგულისხმება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. სამეურნეო დაწესებულებებში -გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებით დაკავებული ორგანიზაციები. საგანმანათლებლოში - უმაღლესი და საშუალო სკოლები, საპროექტო დაწესებულებებში - ბუნებრივი გარემოს და ბუნებრივი რესურსების შესწავლით და გამოყენების დაგეგმარებით დაკავებული სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები, კარტოგრაფიულ-გეოინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მომუშავე ფირმები და კომპანიები.

#### 9. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

სწავლების მესამე საფეხურზე შემოსულ ახალგაზრდას შეძენილი უნდა ჰქონდეს: დამოუკიდებელი სამეცნიერო გეოგრაფიული კვლევის უნარ-ჩვევები. ფლობდეს ინფორმაციას მონათესავე სამეცნიერო მიმართულებების ძირითადი საკითხების და პრობლემების შესახებ, იცოდეს საქართველოს, კავკასიისა და მსოფლიოს ცალკეული რეგიონების გეოგრაფიული და გეოეკოლოგიური პრობლემატიკა.

წარმოდგენილი პროგრამის ან საერთოდ მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე დოქტორანტმა უნდა შეძლოს: დამოუკიდებელი თანამშრომლობა სხვა მონათესავე დარგების სპეციალისტებთან ინტერდისციპლინარული კვლევის დროს; ცოდნის გადაცემა და პრობლემის წარმოჩენა აუდიტორიის წინაშე; კონფერენციებსა და სხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, სამეცნიერო ნაშრომის პუბლიკაციის მომზადება.

#### დოქტორანტურაში ჩასაბარებელ პირს მოეთხოვება:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი გეოგრაფიაში, საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოლოგია, მათემატიკა) საინჟინრო და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დარგებში.

#### b. უცხო ენის ცოდნა

#### სასწავლო კომპონენტი

დოქტორანტის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, რაც მოიცავს სავალდებულო და არჩევით საუნივერსიტეტო საგნებს, მინიმუმ ერთ სემინარსა (15–30 კრედიტი) და პროფესორის ასისტენტობას.

#### კვლევითი კომპონენტი:

დოქტორანტის კვლევითი კომპონენტი შეადგენს 120 კრედიტს, რაც მოიცავს მინიმუმ ორ კოლოკვიუმს (20 კრედიტი თითოეულისათვის) და სადისერტაციო ნაშრომს.

#### სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

- გეოგრაფიის დეპარტამენტის ლაბორატორიები, გეოგრაფიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

- პროგრამული უზრუნველყოფა

- მონაცემთა ბაზები

- უახლოესი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა

- ელექტრონული რუკები

#### სწავლის შედეგის მიღწევის მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდები,
- დისკუსია, დებატები
- ჯგუფური მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
- შემთხვევის ანალიზი
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი
- პრეზენტაციის მეთოდი

სწავლების ენა - ქართული

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე პროგრამაზე სასურველია ყოველწლიურად მიღებულ იქნას 8 დოქტორანტი